# დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
# CITY HALL OF DUSHETI MUNICIPALITY

KA990170139570419

№ 1440/ს

25 / ივლისი / 2019 წ.

## დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**დუშეთის მუნიციპალიტეტის ხეობის ადმინისტრაციული ერთეულში, სოფ.ხეობიდან - სოფ.ფიქვიანისკენ მიმავალი საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთის გაწმენდითი სამუშაოებისათვის სადიზელო საწვავის შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

მიმდინარე წლის ივნისს-ივლისის თვეში მოსული უხვი ნალექის შედეგად, დაზიანდა ხეობის ადმინისტრაციული ერთეულში, სოფ.ხეობიდან - სოფ.ფიქვიანისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მონაკვეთი. გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭიროა სადიზელო საწვავის შესყიდვა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ხეობის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ მიწოდებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ შესწავლილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულში, დაზიანებული გზის მონაკვეთის გაწმენდის საკითხი და წარმოდგენილია შესაბამისი გაანგარიშება - სამუშაოებისათვის საჭირო საწვავის გათვლა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. ხეობის ადმინისტრაციულ ერთეულში,სოფ.ხეობიდან - სოფ.ფიქვიანისკენ მიმავალი საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთის გაწმენდითი სამუშაოებისათვის 60 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 135 ლარი;
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა (მ.ზაქაიძე) უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;
3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (დ. მაბურიშვილი) უზრუნველყოს ამ თანხის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გათვალისწინება და თანხის გადარიცხვა;
4. შესყიდული საწვავის მიღება და გაცემა უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის, სამეურნეო ტექნიკურმა განყოფილებამ (გ. ჭონქაძე);
5. საწვავის მიზნობრივ ხარჯვაზე და დოკუმენტაციის წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ხეობის ადმინისტრაციულ ერთეულში, იაგო წიწკოლაურს;
6. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა 2,3,4,5 პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბ სეხნიაშვილი

KA990118210440119

1841/09

23 / ივლისი / 2019 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ზურაბ სეხნიაშვილს
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი
მოწყობის,ინფრასტრუქტურის განვითარების,
არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის
უფროსის დროებით მოვალეობის
შემსრულებლის მიხეილი ზაქარიაშვილის

**მოხსენებითი ბარათი**

მოგახსენებთ, რომ მერის წარმომადგენლის ხეობის ადმინისტრაციულ ერთეულში ი. წონკოლაურის ( № 16131; 17.07.2019) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ჩვენი სამსახურის მიერ შედგენილია სოფ. ხეობა-ფიქვიანის გზის გასაწმენდად საჭირო დიზელის საწვავის კალკულაცია, რაოდენობით 64.46 ლიტრი.

სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

მიხეილი ზაქარიაშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. დუშეთი

25.07.2019 წელი

მე, ქვემოთ ხელის მომწერი, ვადასტურებ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში (ხელშეკრულება N 299 25.07.2019 წ. ) მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

/გ. ჭონქაძე/